საარჩევნო კამპანიის ფინანსური საკითხები დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017

- **ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი უფლებამოსილია:**

ა) დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საბანკო ანგარიში გამოყენებული იქნება საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშად, ან ბ) გახსნას საბანკო ანგარიში კანდიდატის სახელზე, რომელიც გამოყენებული იქნება საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშად;

- საარჩევნო სუბიექტისთვის სავალდებულოა საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა რეგისტრაციიდან **5 სამუშაო დღის ვადაში;**
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ანგარიშის გახსნიდან **დაუყოვნებლივ** წარუდგინოს ინფორმაცია (რეკვიზიტები) საარჩევნო კამპანიის ფონდის საბანკო ანგარიშის შესახებ, საიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსება.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია **რეგისტრაციის მომენტიდან 3 კვირაში ერთხელ,** დადგენილი ფორმების მიხედვით გამოაქვეყნოს ინფორმაცია შემოწირულების წყაროს, ოდენობისა და მიღების თარიღის მითითებით.
- საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება განახორციელოს მხოლოდ **უნაღდო ანგარიშსწორების** წესით. ანგარიშსწორების ეს წესი არ ვრცელდება პარტიასთან/საარჩევნო სუბიექტთან შრომით ურთიერთობაში მყოფ პირებზე შესაბამისი ანაზღაურების (ხელფასი, პრემია, სამივლინებო თანხები) გაცემაზე, აგრეთვე თუ მიღებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება ერთი უწყვეტი კალენდარული თვის მანძილზე არ აღემატება 1,000 ლარს.
- შემოწირულების მიღების, ასევე საწევრო შენატანის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, პარტიამ **5 სამუშაო დღის** ვადაში უნდა წარუდგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
- ფულადი/არაფულადი შემოწირულების განხორციელებისას პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი და პირადი ნომერი.
- მოქალაქისაგან შემოწირულობების სახით ფულადი სახსრები მიიღება მხოლოდ **უნაღდო ანგარიშსწორებით.**
- საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულობების ოდენობა **არ უნდა** აღემატებოდეს 30000 ლარს წელიწადში. თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში **არ უნდა** აღემატებოდეს 60000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120000 ლარს.

დამოუკიდებელი კანდიდატების შესახებ ხშირად დასმული კითხვები იხილეთ აქ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამოთქვამს მზადყოფნას, იურიდიული დახმარება გაუწიოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელ კანდიდატებს.